ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შერჩევის კრიტერიუმები გაცვლით პროგრამაში მონაწილე ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისათვის

კანდიდატის შერჩევა ხდება ერთ ეტაპად, სპეციალურად შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე.

კანდიდატს არჩევს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომლის წევრებიც არიან:

1. მაიკლ ქაუგილი - პრეზიდენტი;
2. ნინო ტორონჯაძე - ვიცე-პრეზიდენტი;
3. თამარა მეჭურჭლიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
4. კონკრეტული დეპარტამენტის/ოფისის უფროსი (რომელი დეპარტამენტის/ოფისისთვისაც გამოცხადდება კონკურსი, ამ დეპარტამენტის/ოფისის უფროსი).

კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

1. CV ევროპასის ფორმატში ინგლისურ ენაზე;
2. ინგლისური ენის სერტიფიკატი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
3. მიმღები უნივერსიტეტის ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
4. ბიომეტრული პასპორტი;
5. მობილობის ხელშეკრულების შევსებული ფორმა.

- **ინგლისური ენა - 40%**

ინგლისური ენის ცოდნა შეიძლება შეფასდეს :

- ინგლისურის საერთაშორისო სერტიფიკატით (Test of English as a Foreign Language- TOEFL);
- International English Language Testing System- IELTS;
- Cambridge English Qualifications;
- Pearson English
- Language Test- PTE Academic;
- B2 დონის ექვივალენტი სხვა სერტიფიკატი;

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი ჯგუფების (ამჟამინდელი ან ადრინდელი) ლექტორებს ინგლისური ენის დამადასტურებელი **ცნობა არ მოეთხოვებათ.**

ინგლისურენოვანი გაცვლითი სტუდენტების ლექტორებს ენის სერტიფიკატი **არ მოეთხოვებათ.**

ინგლისურენოვანი დიპლომის არსებობის შემთხვევაში (ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), კანდიდატებს ენის სერტიფიკატი **არ მოეთხოვებათ.**

- **შევსებული სააპლიკაციო ფორმა - 20 %**

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული და მომზადებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს გამოცხადებული გაცვლითი პროგრამის მოთხოვნებს (მიმღებ უნივერსიტეტში ყოფნის დროს განსახორციელებელი აქტივობების გეგმა).

- **მიმღები უნივერსიტეტის ენის ცოდნა - 10%**

მიმღები ქვეყნის/უნივერსიტეტის ენისს ცოდნა შეფასდება:

- ენის საერთაშორისო სერტიფიკატით;
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისისა და ესპანური ენისა და კულტურის ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატით (ესპანური ენის შემთხვევაში);
- ნებისმიერი სხვა სერტიფიკატის საფუძველზე;
- გასაუბრების საფუძველზე.

- **დარგობრივი რელევანტურობა - 30%**

დარგობრივ რელევანტურობას განსაზღვრავს:

- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი;
- მიმღები უნივერსიტეტი.

ყურადღება: *კანდიდატი უნდა იყოს სრულად აცრილი კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით!*